[illegible] სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

ფასი 5000 მან.

№ 204

[illegible] 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


**ყოველდღიური გაზეთი**

**ტრიბუნა**

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გადაზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.


სამშაბათს ორ მაისს, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში.

**საღამოს 6 საათზე შესდგება სხდომა**

## ტფილისის აღმასკომის პლენუმისა

დღის წესრიგი: 1. სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა 2. ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების მოღვაწეობა 3. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მუშაობა 4. პრეზიდიუმის მუშაობა და 5. მიწად-მოქმედების განყოფილების მუშაობა.

ყველა წევრთა და კანდიდატთა გამოცხადება სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

## პირველი მაისი მშრომელთა დღესასწაულია.

დღეს მსოფლიო მაშტაბით გაიმართება წითელი აღლუმი, სარევოლუციო მალების დათვალიერება.

დღეს გაერთიანდება დარღვეული მუშათა ფრონტი. მთელი ქვეყნის მუშები კვლავ ერთი ენით დაილაპარაკებს, საერთო მოთხოვნილებას წამოაყენებს.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალისტური რევოლიუციის მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა მსოფლიო ფედერაციას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ ერთა შორის.

## მშრომელთა გაერთიანებული ფრონტი და საქართველოს სინამდვილე

დღევანდელი დღე დიადი ისტორიული დღე არის მუშათა კლასისათვის. ამ დღესასწაულის მნიშვნელობა და ღირებულება განუზომელი არის სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

ამ დღეს ხდება მთელი საერთაშორისო მებრძოლი ძალების გადასინჯვა, მათი რიგების დათვალიერება და ახალ ბრძოლისათვის მზადება. წითელი მაისი რევოლიუციონური პროლეტარიატის დღესასწაული არის, რომელიც მოუწოდებს მთელი მსოფლიოს დაჩაგრულთა და მაშვრალთ განახლებული კაცობრიობისათვის ბრძოლისაკენ.

პირველი მაისობა აერთებს და აკავშირებს მუშათა მასებს, ამაგრებს მათ რიგებს და ქმნის სოლიდარობას მებრძოლთა რაზმებში. ეს დღე მუშათა სოლიდარობის დღე არის და ჩვენც გვინდა ამ დიდი ლოზუნგით გამოვიდეთ საქართველოშიც და მოუწოდოთ საქართველოს მშრომელ ხალხს გაერთიანებისა და ერთი მტკიცე მშრომელთა არმიის შესაქმნელად.

საერთაშორისო ომის დასაწყისიდან მშრომელთა კლასის მთლიანობა დაირღვა, როგორც საერთაშორისო მაშტაბში, ისე ნაციონალურ ფარგლებშიაც. მეორე ინტერნაციონალში გაბატონებულმა სოციალ-იმპერიალიზმმა მუშათა კლასში შეიტანა განხეთქილება და მისი დიდი ნაწილი ბურჟუაზიის მონა-მორჩილად გახადა. რეფორმიზმის წყალობითა და მათი მოღვაწეობით გერმანიის კოალიციის მუშა იარაღით ხელში დაუპირისპირდა მოკავშირეთა მუშათა კლასს, როგორც მის მოსისხლე მტერს. ამ გვარად ნაცვლად სოლიდარობისა და ძმობისა საერთაშორისო მუშათა წრეებში ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი; სოციალისტურ კონგრესზე შეხვედრის მაგივრად, რომელიც დანიშნული იყო 1914 წელში, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიისა და სხვათა პროლეტარული მასები იარაღით ხელში შეხვდნენ ელზას-ლოთარინგის უღელტეხილში და ლიეჟის მიდამოებში.

მაგრამ მუშათა კლასის გათიშვა არ დამთავრებულა მარტო ამით. თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქამ ახალი სადემარკაციო ხაზი გაიყვანა მუშათა წრეებში და აქაც იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ სოციალისტები ერთი მეორეს. რეფორმიზმმა თავისი უარყოფითი როლი სოციალური რევოლიუციის პროცესშიაც ითამაშა და თავისი ძალებით ზურგი გაუმაგრა ბურჟუაზიას ძლიერ რევოლიუციონური მოძრაობის დროს, რომელმაც თითქმის მთელი ევროპის სახელმწიფოები მოიცვა და რომელიც განადგურებით ემუქრებოდა კაპიტალისტურს მსოფლიოს. სოციალ-გამყიდველები წითელი ხაზის გადაღმა მხარეზე აღმოჩნდნენ და მათის დახმარებით ბურჟუაზიამ შეინარჩუნა პოლიტიკური ძალა-უფლება.

მაგრამ რევოლიუციონური ენთუზიაზმის ეპოქა წავიდა და დღეს სხვაგვარ პირობებთან გვაქვს საქმე. დღევანდელი პირობები და ობიექტიური გარემოება ისეთს მოთხოვნილებებს უყენებს მუშათა კლასს, ისეთს სამოქმედო გეზს მიითითებს, რომელიც ქმნის პროლეტარიატის გაერთიანებულ პლატფორმას. გათიშული და დანაწილებული პროლეტარული წრეები ერთი მეორეს უნდა დაუპირდაპირდეს და შექმნას ერთი მთლიანი რაზმი თავისი ყოველდღიური პირობების გასაუმჯობესებლად.

დღეს სწორედ ამ პროცესში არის მუშათა მოძრაობის საქმე. კაპიტალის შეტევამ და თანამედროვე ობიექტიურმა გარემოებამ პროლეტარულ მასების გაერთიანებას შეუწყო ხელი. სოციალისტური პარტიებიც იძულებულნი შეიქმნენ ანგარიში გაეწიათ ამ გარემოებისათვის და შეთანხმებული ენით დაეწყოთ ლაპარაკი.

ბერლინის სოციალისტურმა კონფერენციამ, რომელსაც დაესწრნენ სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი, ასე თუ ისე ნიადაგი ჩაუყარა სოციალისტურს შეთანხმებულ მოქმედებას.

მაგრამ მთლიანი ფრონტის შექმნას საფუძვლად უდევს არა სოციალისტური პარტიების გაერთიანება, არამედ პროლეტარულ მასის, მშრომელ მასების გაერთიანება. ის, რაც ვერ შესძლო პოლიტიკურმა პარტიებმა, უნდა მოგვცეს პროლეტარიატის მოქმედებამ, მისმა შეგნებულმა ნაბიჯებმა.

ამ გვარად ევროპის სინამდვილეში ნიადაგი შეიქნა პროლეტარიატის გასაერთიანებლად და ეს პროცესი თავისი ტემპით მიმდინარეობს იქ.

როგორი ნიადაგი არის შექმნილი საქართველოს სინამდვილეში ამ მხრივ, მოითხოვს თუ არა ჩვენი პირობები საქართველოს მშრომელი მასის გაერთიანებასა და შეერთებას? თუ ევროპის პირობები დაჟინებით მოითხოვს ამას, მით უფრო საქართველოს სინამდვილე ვერ ასცდება ამ გზას.

ჩვენი ერის რეალური სინამდვილე და მოთხოვნილება დაჟინებით მოითხოვს პროლეტარულ მასების გაერთიანებას და მათს [illegible] გამოსვლას. ქართველი მენშევიკები დღესაც ვერ დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენში [illegible] პოლიტიკის წარმოება პირდაპირ დამღუპველი არის ქართველი ერის წარმატებისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც საკმაოდ მოზრდილი მასა მშრომელი ხალხისა შეუგნებლად მიჰყვება მენშევიკების პარტიას და ისიც სარგებლობს ამ შემთხვევით და [illegible] ამ ძალას საბჭოთა ხელისუფლების [illegible].

მაგრამ ასეთი პოლიტიკა [illegible] არის ჩვენი პირობების თვის.

და ამ ბრწყინვალე შრომის დღეს, ჩვენ ვაყენებთ საქართველოს მშრომელი მასის გაერთიანების ლოზუნგს ერთი საერთო პლატფორმის გარშემო. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მშრომელ ხალხს გაერთიანებისაკენ საბჭოთა სისტემის გარშემო, პროლეტარიატის პოლიტიკის ბატონობის ირგვლივ.

გაუმარჯოს პროლეტარიატის მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელი ხალხის მთლიანობას, გაუმარჯოს მის ბატონობას საბჭოთა სისტემის ფორმაში.

## დამონებულთა დღესასწაული

ისტორია მონათა და ბატონთა დაპირისპირების სინთეზისია. რა ფაქტორი ქმნიდა ამ დაპირისპირებას, ანტაგონიზმს ეს სხვა საკითხია, მაგრამ თვით ეს დაპირისპირება ისტორიული ფაქტია. დღევანდელი დღე ერთი გამოხატულებაა ამ დაპირისპირების. დღეს მრავალი მოედანი და ქუჩა იხილავს ხალხის გროვას, მაგრამ შესცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ერთი და იგივე გზით მიდის ამ ძალთა დაპირისპირების კონცენტრაციაში ყოველი პიროვნება.

შაბლონიურად, პირველი მაისი მუშათა დღესასწაულად არის ჩათვლილი. ეს სახელწოდება ვერ ამოსწურავს ამ დღის მნიშვნელობას, რადგან პირველი მაისის იდეათა რეალიზაცია არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი კლასის გამარჯვების თავდები. უფრო სწორად, პირველი მაისი დამონებულთა დღესასწაულია, დამონებულთა წინააღმდეგ ამხედრებისათვის. დამონებულთა შორის მარტო არ არის მუშათა კლასი, [illegible] მსგავსად. მას უერთდება სხვა და სხვა ნიადაგზე აღმოცენებული ჩაგვრანი, რომელიც არ ემორჩილება მხოლოდ ზედმეტი ფასეულობის მითვისების კანონს და ეკონომიური ექსპლოატაციის მომენტს. ერთი ასეთი ჩაგვრა—ეროვნული ჩაგვრაა.

ნაციონალიზმი, როგორც ერის გაპიროვნება და მისი დაცვის აუცილებლობა, გზაა სოციალიზმისაკენ.

ფეოდალურმა კულტურამ ეროვნული სხეული ნაფლეთებად აქცია და საშუალება არ მისცა მას ეროვნული კულტურის აყვავებისათვის. პარტიკულარიზმი, კუთხური კარჩაკეტილობა, აუცილებელი თანხლებაა ფეოდალური კულტურის, რომელმაც ხელი შეუწყო ეროვნულ ძალთა გათიშვას, მათ უკიდურეს დიფერენციაციას.

კაპიტალისტურმა კულტურამ ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია მოახდინა, ეროვნული სხეულის ჩამოყალიბებას ფართო გასაქანი მისცა, მაგრამ ამავე კულტურამ მპყრობელ და დაპყრობილ ერთა იერარქია მოგვცა. საგარეო პოლიტიკაში იმპერიალიზმის გამეფებამ უკვე ბევრით გადასწყვიტა პატარა ერთა საკითხი და მონათა რიცხვში შეიტანა იგი.

კაპიტალიზმმა რეალიური სახე მისცა სოციალ გარემოში არსებულ ანტაგონისტურ ტენდენციებს და კლასთა ბრძოლა ცენტრალურ ფიგურად დასახა, მაგრამ ეს ბრძოლა მხოლოდ ეროვნული ორგანიზმის შინაგანი წინააღმდეგობის ლიკვიდაციის პროცესია, რომლის შემდეგ ერის განვითარება ბუნებრივ გარემოცვაში მოექცევა.

თანამედროვე ისტორიული პერიოდი დამმონებელთა და დამონებულთა გენერალური ბრძოლის პერიოდია. მართლაც იყო [illegible], რომლებსაც იგი ისტორიულ ეპოქათა ხასიათს ყოფდა კრიტიკულ ორგანიულ ეპოქად. დღეს დასრულებულია ორგანიული ეპოქა განსაზღვრული სოციალ ფორმაციისა და იწყება კრიტიკული ეპოქა ახალი სოციალ ფორმაციის შექმნისათვის. ამ ეპოქაში ერის პრობლემა დიდი პრობლემაა. პირველი მაისი არა მარტო ჩაგრული კლასის დღეა, არამედ ჩაგრული ერისაც.

მას შემდეგ, რაც ეროვნული საკითხი კაპიტალის მაგნატთა მერკანტილურ მადას დაუკავშირდა, ჩვენ ვიხილეთ სისხლიანი ტრაგედია პატარა ერთა და საკუთარ თავზეც გადავიტანეთ ისტორიის ლოღიკით მოვლინებულ ძალთა ზეგავლენაც. ფაქტთა სამყაროში გადასვლა, რომელიც საუკეთესო ილუსტრაციაა კაპიტალიზმის იმანენტური ბუნების მიმართებისა ეროვნულ თავისუფლებისადმი, მეტად შორს წაგვიყვანდა. საკმაოა ზოგადი აღნიშვნა იმ კონკრეტ მოვლენათა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კოლონიურ პოლიტიკასთან და რომელიც სისხლით ნაწერი ილუსტრაციაა პატარა ერის თავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლისა.

დღეს კი, ამ კრიტიკულ ეპოქაში, როდესაც ახალ საზღვართან სდგას კაცობრიობა, ხდება მოვლენათა შერჩევა და „ფასეულობათა გადაფასება". ეროვნული თავისუფლების უზრუნველყოფა ობიექტიურად შეუძლებელი ხდება კაპიტალისტური კულტურის დროს. სოციალისტური კულტურა საუკეთესო პირობაა ეროვნული ინდივიდუალობის განმტკიცების, მისი ნორმალი განვითარების. ამდენათვე დღეს, როდესაც კულმინაციური დაპირისპირების ემბლემად ისახება პირველი მაისი კაპიტალიზმის შორის, სოციალისტურ ბანაკში უნდა იყოს არა მარტო ჭეშმარიტი სოციალისტი, არამედ ჭეშმარიტი ნაციონალისტიც.

პირველ მაისს დღესასწაულებს არა მარტო ის, ვისი ფიზიკური ენერგიის ექსპლოატაციაზე დამყარებულია კაპიტალისტური წარმოების სისტემა, არამედ ისიც, ვისი მორალური მხედველობა არსებულს ვერ ეგუება და [illegible] ეძიებს. დღეს ბევრი კვლავ კოსმოპოლიტური დოქტრინით ხელში გამოვა ქუჩებს, მაგრამ ბევრს ხელში ექნება ნაციონალიზმის ემბლემაც, რადგან პირველი მაისის იდეა საუკეთესო საწინდარია ეროვნული თავისუფლების.

ნაციონალიზმის გზა სოციალიზმამდე მიგვიყვანს, ხოლო სოციალიზმი რევოლუციონიზმს დაუკავშირებს. ეს გზა განვლო არჩილ ჯორჯაძის აზროვნებამ.

საერთოდ დიდ ერთა სოციალისტური პარტიები ხშირად მიდიოდნენ და დღესაც მიდიან შოვინისტურ ტენდენციამდე. ეს განსაკუთრებით ცენტრალისტური მხედველობის შედეგია. მეორე მხრივ, ჰერვეს მაგვარი სოციალისტები და უკიდურესი ანარქისტები (ინდივიდუალისტები) სრულებით უარყოფენ ერს, როგორც სოციალურ ორგანიზმს, და მაშასადამე, მის პოლიტიკურ კონსტრუქციასაც. ჩვენ კი ეროვნული პრიზმით ვიხილავთ პოლიტიკურ მოვლენათა წყობას და დღეს, როდესაც „ფასეულობათა გადაფასების" ეპოქაა, ჩვენი მხედველობა საუკეთესო კრიტერიაა სოციალ ფაქტორთა შერჩევის.

დღეს საქართველოში ბევრი იზეიმებს, რომელსაც ვერ შეუგნია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესი. შეიძლება ბევრმა გაიაროს რუსთველის მოედანი, რომლისათვისაც საქართველო არ არის საქართველო და რუსთველი—რუსთველი, მაგრამ ისტორია ასწორებს იმ კურიოზებს, რომელნიც ხშირად ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველმა ხალხმა კი პირველი მაისი უნდა იდღესასწაულოს როგორც საქართველოს დღესასწაული, რადგან ამ გზით მივდივართ საქართველოს თავისუფლებისაკენ. დეე, [illegible] იდეა საქართველოს თავისუფლებისა იყოს ის ნიადაგი, რომელიც დაგვაყენებს სწორ გზაზედ და დაგვისახავს სწორ პერსპექტივებს ეროვნული თავისუფლების განდიდებისათვის...

**ხერ. ამაღლობელი.**

## სწავლა სინათლეა!

ერთი საშინელი მტერი მშრომელი ხალხისა არის უმეცრება, უცოდინარობა, გონებრივი სიბნელე. საუკუნოებათა განმავლობაში დაბეჩავებულ, დამონებულ ხალხს საშუალება არ ჰქონდა სწავლისა. ვინ მოაცლიდა მას ამისათვის? მას უნდა ეშრომა მხოლოდ და სხვებისათვის მიეცა სწავლის საშუალება.

უცოდინარობა, შეუგნებლობა მონობის ტახტია. შეგნება, განათლება ვერ ურიგდება მონობას, ებრძვის და სპობს მას.

